

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და
სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის
ურთიერთშეთანხმება საგანმანათლებლო დაწესებულებების
რეესტრის წარმოების მიზნით

ქ. თბილისი

12 ივლისი, 2017

ერთი მხრივ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილი მისი დირექტორის, თამარ სანიკიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში - მართვის სისტემა) წარმოდგენილი მისი უფროსის, ლაშა ვერულავას სახით, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული გარკვეული უფლებამოსილებების დელეგირების მიზნით, რაც გულისხმობს, ამ ურთიერთშეთანხმების შესაბამისად, მართვის სისტემის ნდობითა და უფლებამოსილებით აღჭურვასა და ამ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით მის ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 მუხლის საფუძველზე,

თანხმდებიან შემდეგზე:

1. ურთიერთშეთანხმებით, დელეგირების საფუძველზე, ცენტრი ახდენს მართვის სისტემაზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის ნაწილში (შემდგომში - რეესტრის დელეგირებული ნაწილი) ფუნქციონირებას, რის საფუძველზეც მართვის სისტემა განისაზღვრება, როგორც დელეგირებულ ნაწილში რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი.
2. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მართვის სისტემა უფლებამოსილია, მართვის სისტემის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განსაზღვროს დელეგირებულ ნაწილში რეესტრის წარმოების მექანიზმები, მათ შორის, დელეგირებულ ნაწილში რეესტრზე წვდომის/დაშვების, შესაბამის რეესტრში ინფორმაციის შეტანისა და ინფორმაციის დამუშავების წესები და პირობები.
3. მართვის სისტემა წარმოადგენს დელეგირებულ ნაწილში რეესტრიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად პერსონალური მონაცემების გაცემაზე პასუხისმგებელ სუბიექტს.
4. საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დელეგირებულ ნაწილში რეესტრში შეტანილი ინფორმაციის გადამოწმებას (მონიტორინგს) ახორციელებს მართვის სისტემა, მართვის სისტემის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.
5. ცენტრი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მინიჭების (ავტორიზაციის) შესახებ, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების (შემდგომში - ავტორიზაციის საბჭო) და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც იწვევს ცვლილებას ქვემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციაში, ამ გადაწყვეტილებების შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის, წერილობით აწვდის მართვის სისტემას შემდეგ ინფორმაციას:

- ა) საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ბ) საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) მისამართი (რეგიონის და თვითმმართველი ქალაქის/მუნიციპალიტეტის მითითებით);
- დ) მინიჭებული ავტორიზაციის ხანგრძლივობა;
- ე) საფეხური, რაზეც მინიჭებული აქვს ავტორიზაცია;
- ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
- ზ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა;
- თ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში);
- ი) ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა;
- კ) ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული);
- ლ) ავტორიზაციის/აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი.
6. ცენტრი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის გაუქმების/ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, წერილობით აწვდის მართვის სისტემას მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.
7. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამის რეესტრში ინფორმაციის დროულად შეუტანლობა შეიძლება გახდეს მართვის სისტემის მხრიდან, რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით განსახორციელებელი შესაბამისი მოქმედების შეჩერების ან მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველი.
8. მართვის სისტემა უზრუნველყოფს ამ ურთიერთშეთანხმებით მისთვის დელეგირებული ფუნქციების შესრულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით და 2017 წლის 01 აგვისტომდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად რეესტრის წარმოებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.
9. წინამდებარე ურთიერთშეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ცენტრში, ხოლო მეორე – მართვის სისტემაში.
10. ამ ურთიერთშეთანხმებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

მის.: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1

მის.: ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის ქ. №1ა

დირექტორი
თამარ სანიკიძე

უფროსი
ლამა ვერულავა

